

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე  
კომუნიკაციის საქართველოს მთავრობის 2017-2020 წლების სტრატეგიის  
მონიტორინგის კვლევა

ბექა ექსეულიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტანგიაშვილი, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## სარჩევი

ტერმინების განმარტება.....	1
აბსტრაქტი.....	2
1. შესავალი.....	3
2. კვლევის მიზანი დამეთოდოლოგია.....	6
3. ანალიტიკური ჩარჩო .....	9
3.1 საქართველოს ევროკავშირსა და ნატოსთან თანამშრომლობის ანალიზი.....	9
3.2 ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივის ანალიზი.....	23
4. კვლევის შედეგები და მათი განხილვა.....	32
4.1 საქართველოს მთავრობის 2017-2020 წლების კომუნიკაციის სტრატეგიის მონიტორინგის ანალიზი.....	32
4.2 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017-2020 წლების სტრატეგიის მონიტორინგის კვლევა .....	33
4.3 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017-2020 წლების სტრატეგიის მონიტორინგის კვლევა.....	43
4.4 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმის შეფასება.....	53
5. დასკვნა.....	59
6. გამოყენებული ლიტერატურა.....	63

## ტერმინების განმარტება

1. **ევროკავშირი** - განიმარტება როგორც ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება, რომლებსაც აქვთ საერთო ფასეულობები და ღირებულებები
2. **ნატო** - განიმარტება როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროპის და ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოებს.
3. **DCFTA**- იმიგრება შემდეგნაირად: ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭო ხელშეკრულება.
4. **დიფერენცირების მეთოდი** - იმიგრება როგორც ევროკავშირისგან იმ სახელმწიფოს წახალისება, რომელიც დამოუკიდებლად ცდილობს დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს
5. **IPAP** - განიმარტება საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.
6. **თეთრი წიგნი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტი.
7. **ვარდების რევოლუცია** - 2003 წელს საქართველოში მომხდარი სამოქალაქო რევოლუცია, რომლის შედეგად შეიცვალა ხელისუფლება და ჩატარდა ახალი არჩევნები.

## აბსტრაქტი

საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება არის ჩვენი მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობის არჩევანი და ეს პროცესი არის შეუქცევადი ხასიათის. დღესდღეობით, ბევრად უფრო მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს დასავლურ ინსტიტუტებთან ვიდრე ათეული წლების წინ. ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაში საუბარი იქნება საქართველოს მთავრობის 2017-2020 წლების კომუნიკაციის სტრატეგიის საკითხებზე. კვლევა მიზნად ისახავს იმის დადგენას თუ რამდენად ეფექტურად ხდება სამთავრობო უწყებების მიერ შემუშავებული სტრატეგიის განხორციელება, რა არის ის შემაფერხებელი ფაქტორები და გამოწვევები, რომელიც დაკავშირებულია ევროინტეგრაციის პროცესებთან. კვლევაში მოცემულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამოქმედო სტრატეგია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტების ანალიზი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაგეგმილი პროექტები თუ ღონისძიებები, რომლის ფარგლებში აღწერილია ის შედეგები, რომელიც გამოწვეულია საქართველო მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამებითა და რეფორმებით.

ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული, როგორც მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგიის მნიშვნელობაზე, ასევე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და კონკრეტულ რეკომენდაციებზე, რომლის განხორციელებით საქართველო შეძლებს შეუქცევადი გახადოს ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება და ამ პროცესებზე დროულად მოახდინოს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების პრევენცია.